ოქმი #15

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 10 ოქტომბერი, 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მ. კოპალიანი, გ. გუგავა
საკრებულოს წევრები: თ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი,
ო. ჩაკვეტაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი,
მ. ჩიქოვანი, თ. ნემსწვერიძე, გ. გოგებაშვილი,
მ. ახვლედიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი,
გ. გურგუჩიანი, ა. მახარობლიძე.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:
ს. გვიშიანი
საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულება:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, ს. გვიშიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 18 დეპუტატი/

განკარგულება:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, ს. გვიშიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი - ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“, აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოფიკო გვიშიანმა განმარტა, რომ აღნიშნული განკარგულების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუიის 45-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლი, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30სექტემბრის №1604 განკარგულება.

პროექტი განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსგან ცაგერის მუნიციპალიტეტზე გადმოცემული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი